# შპს-ს „ლიდერ-ბეთ სლოტი“ ჩასატარებელი წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები (რეგლამენტი) ნებართვა №19-03/279

წამახალისებელ გათამაშებას აწყობს შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი“.

იურ. მისამართი: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ№1, სართული 1, კომერციული ფართი №5

ფაქტიური მისამართი: ქ.სამტრედია,თამარ მეფის ქ №1, ნაკვეთ №131-ზე არსებული შენობა-ნაგებობა №1-ის I სართული, ფართი №2.

**მომსახურეობის ჩამონათვალი:**

სათამაშო აპარატების ნებართვით 19-06/201 ორგანიზებული საქმიანობა. სათამაშო აპარატების ფაქტიური მისამართი: ქ.სამტრედია,თამარ მეფის ქ №1, ნაკვეთ №131-ზე არსებული შენობა-ნაგებობა №1-ის I სართული, ფართი №2.

აღნიშნული ნებართვის საფუძველზე სისტემურ-ელექტრონული ფორმით – ინტერნეტის მეშვეობით ფუნქციონირებს ვებ-გვერდი მისამართით: www.leader-bet.com, რომლის სპეციალური პროგრამული კომპლექსი (სერვერი) განთავსებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ№1

**გათამაშების მიზეზი:**

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის გადაწყვეტილება გამოწვეულია სათამაშო ბიზნესის ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციით. მიგვაჩნია, რომ არსებული კონკურენციის ფარგლებში წამახალისებელი გათამაშება გაზრდის კლიენტის დაინტერესებას, შესაბამისად კლიენტურის ზრდას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს შემოსავლის ზრდას.

**გათამაშების მიზანი:**

გათამაშების ორგანიზება მიზნად ისახავს ნებართით №19-06/201 სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ინტერნეტით) ორგანიზებული საქმიანობის წახალისებას, ინტერნეტ-მომხმარებლის სტიმულირებას და შესაბამისად კომპანიის შემოსავლის ზრდას.

წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს წამახალისებელი გათამაშების ბილეთის (ბილეთების) მოთამაშის სახელზე-მის მფლობელობაში არსებობა (ანუ ინტერნეტ-მომხმარებელს ბილეთები ფიზიკურად თავად არ აქვთ, კომპანიის ადმინისტრაცია თვითონ უგროვებს ინტერნეტ-მომხმარებელს თავის სახელზე არსებულ ბილეთებს, შესაბამისად. ინტერნეტ-მომხმარებელს აქვს ინფორმაცია თუ რა რაოდენობის ბილეთების დაგროვება შეძლო მან კონკრეტული წამახალისებელი გათამაშების ჩატარების წინ)

წამახალისებელი გათამაშების აღნიშნული ეტაპი გრძელდება 2018 წლის 24 დეკემბრიდან 2019 წლის 2 იანვრის ჩთ და მოიცავს ერთ 2019 წლის 2 იანვრის 20{00 საათზე ჩასატარებელ გათამაშებას, რომლის დროსაც გათამაშდება: 2 ცალი 5000 ლარიანი, 1 ცალი 10000 ლარიანი ფულადი პრიზი, 1 ცალი ორკაციანი საგზური შვეიცარიაში (ალპებში) და 1 ცალი ავტომობილი „პორშე კაიმანი”. გათამაშების ბილეთების დაგროვება (გაცემა/დარიცხვა) დაიწყება 2018 წლის 24 დეკემბრიდან და დამთავრდება 31 დეკემბრის 23:59 სთ-ზე.

დაიბეჭდება წამახალისებელი გათამაშების 10 000 000 ცალი ბილეთი:00 000 001-10 000 000

წამახალისებელი გათამაშების ბილეთზე დატანილია შემდეგი სახის ინფორმაცია: ბილეთის ნომერი (რომელიც მინიჭებულია პოლიგრაფიული საწარმოს მიერ, უნიკალურია და არ მეორდება), ინტერნეტ-მომხმარებლის: ID და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, რის საშუალებითაც მოხდება პირდაპირ ეთერში მოთამაშესთან დაკავშირება. მოთამაშის საკონტაქტო ტელეფონის ნომერს კომპანია იღებს საკუთარი მონაცემების ბაზიდან, რომელშიც ინახება ყველა მომხმარებლის ინფორმაცია, რასაც მომხმარებელი ვებ-გვერდზე რეგისტრაციის დროს სპეციალურ აუცილებელ ველების საშუალებით ავსებს. შესაბამისად, გათამაშებაში მონაწილე ბილეთებზე ავტომატურად იწერება ის ტელეფონის ნომერი, რასაც მოხმარებელი ვებ-გვერდზე რეგისტრაციის დროს უთითებს. გამომდინარე აქედან მოთამაშე თავად იღებს პასუხისმგებლობას მონაცემების სრულყოფილად და სწორად შეყვანაზე.

წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ვერიფიცირებულ (ანუ ინტერნეტ-მომხმარებლები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან www.leader-bet.com-ზე რეგისტრაციის წესების სრული დაცვით, რასაც ითხოვს მათგან რეგისტრაციის დროს კომპანია) მოქალაქეს

ბილეთები დაგროვება (გაცემა/დარიცხვა) ხდება შემდეგი პირობების შესრულებისას:

**სამორინეს კენო (კლასიკური კენო და ბოლო ბურთი)**

ჯამურად ყოველ 20 ლარამდე გათამაშებულ თანხაზე მოთამაშე მიიღებს (დაუგროვდება/დაერცხება) 1 ბილეთს, 40 ლარის შემთხვევაში - 2 ბილეთს, 60 ლარის შემთხვევაში 3 ბილეთს და ა.შ.,

მაგალითად: მოთამაშემ 25 დეკემბერს გაათამაშა 5 ლარი, 27 დეკემბერს 25 ლარი ე.ი. ჯამურად მოთამაშემ გაათამაშა 30 ლარი,შესაბამისად იგი მიიღებს გათამაშების ერთ ცალ ბილეთს, ხოლო 10 ლარი დარჩება მას და პირობითად 28 დეკემბერს 10 ლარის გათამაშების შემთხვევაში დამატებით გადაეცემა 1 ცალი ბილეთი

**ყველა სახის სლოტ თამაშები:**

თამაშობისას ჯამურად შევსებულ ყოველ 20 ლარის ფსონზე მოთამაშე მიიღებს (დაუგროვდება/დაერიცხება) გათამაშების 1 ბილეთს , 40 ლარის შემთხვევაში - 2 ბილეთს, 60 ლარის შემთხვევაში 3 ბილეთს და ა.შ.

მაგალითად: მოთამაშემ 25 დეკემბერს დაატრიალა 10 ლარი, 27 დეკემბერს 15 ლარი ე.ი. ჯამურად მოთამაშემ დაატრიალა 25 ლარი და იგი მიიღებს გათამაშების ერთ ცალ ბილეთს, ხოლო 5 ლარი დარჩება მას და პირობითად 28 დეკემბერს 15 ლარის დატრიალების შემთხვევაში დამატებით გადაეცემა 1 ცალი ბილეთი.

**ყველა სახის მაგიდის თამაში (EVOLUTION LIVE CASINO-ს თამაშებისა)):**

ჯამურად ყოველ 5 ლარამდე შევსებულ ფსონზე მოთამაშე მიიღებს (დაუგროვდება/დაერცხება) 1 ბილეთს, 10 ლარის შემთხვევაში - 2 ბილეთს, 15 ლარის შემთხვევაში 3 ბილეთს და ა.შ.

მაგალითად: მოთამაშემ 25 დეკემბერს გააკეთა მაგიდა მინ.ფსონით 3 ლარი, 27 დეკემბერს 10 ლარი ე.ი. ჯამურად მოთამაშემ გააკეთა 13 ლარიანი ფსონი 2 ცალი მაგიდის შესაქმნელად და იგი მიიღებს გათამაშების ორ ცალ ბილეთს, ხოლო 3 ლარი დარჩება მას და პირობითად 28 დეკემბერს 2 ლარიანი ფსონის მაგიდის შექმნის შემთხვევაში დამატებით გადაეცემა 1 ცალი ბილეთი.

**ვოლტი:**

ჯამურად დადებულ 20 ლარამდე თანხაზე მოთამაშე მიიღებს (დაუგროვდება/დაერცხება) 1 ბილეთს, 40 ლარის შემთხვევაში - 2 ბილეთს, 60 ლარის შემთხვევაში 3 ბილეთს და ა.შ., იმ შემთხვევაში თუ კოეფიციენტის განაღდების მინიმალური ზღვარი იქნება 1,2 და მეტი

მაგალითად: მოთამაშემ 25 დეკემბერს დადო 5 ლარი, 27 დეკემბერს 25 ლარი ე.ი. ჯამურად მოთამაშემ დადო 30 ლარი,შესაბამისად იგი მიიღებს გათამაშების ერთ ცალ ბილეთს, ხოლო 10 ლარი დარჩება მას და პირობითად 28 დეკემბერს 10 ლარის დადების შემთხვევაში დამატებით გადაეცემა 1 ცალი ბილეთი.

**ტეხასური პოკერი:**

ჯამურად ყოველ 20 ლარამდე გათამაშებულ თანხაზე მოთამაშე მიიღებს (დაუგროვდება/დაერცხება) 1 ბილეთს, 40 ლარის შემთხვევაში - 2 ბილეთს, 60 ლარის შემთხვევაში 3 ბილეთს და ა.შ., მაგრამ იმ შემთხვევაშუ თუ მოხდება გადათამაშება რეიქის გარეშე ასეთ თანხაზე ბილეთი არ დაირიცხება.

მაგალითად: მოთამაშემ 25 დეკემბერს გაათამაშა 5 ლარი, 27 დეკემბერს 25 ლარი ე.ი. ჯამურად მოთამაშემ გაათამაშა 30 ლარი,შესაბამისად იგი მიიღებს გათამაშების ერთ ცალ ბილეთს, ხოლო 10 ლარი დარჩება მას და პირობითად 28 დეკემბერს 10 ლარის გათამაშების შემთხვევაში დამატებით გადაეცემა 1 ცალი ბილეთი.

**რულეტი (EVOLUTION LIVE CASINO-ს რულეტების):**

ჯამურად ყოველ 20 ლარამდე გათამაშებულ თანხაზე მოთამაშე მიიღებს (დაუგროვდება/დაერცხება) 1 ბილეთს, 40 ლარის შემთხვევაში - 2 ბილეთს, 60 ლარის შემთხვევაში 3 ბილეთს და ა.შ.,

მაგალითად: მოთამაშემ 25 დეკემბერს გაათამაშა 5 ლარი, 27 დეკემბერს 25 ლარი ე.ი. ჯამურად მოთამაშემ გაათამაშა 30 ლარი,შესაბამისად იგი მიიღებს გათამაშების ერთ ცალ ბილეთს, ხოლო 10 ლარი დარჩება მას და პირობითად 28 დეკემბერს 10 ლარის გათამაშების შემთხვევაში დამატებით გადაეცემა1 ცალი ბილეთი

მოთამაშეს ნებისმიერ დროს შეეძლება ვებ გვერდზე შეამოწმოს მის მიერ თამაშობების შედეგად დაგროვებული წამახალისებელი ბილეთების რაოდენობა კომპიუტერის ე.წ.ფანჯარაში ან დაუკავშირდეს კომპანიის ოპერატორს ე.წ. „ქოლ ცენტრს",რომლის ტელეფონიც მითითებულია კომპანიის ვებ-გვერდზე

2019 წლის 2 იანვარს 20:00 საათზე ტელეკომპანია „იმედის" პირდაპირ ეთერში ჩატარდება წამახალისებელი გათამაშება შემდეგი პრინციპით.

გათამაშებაში გამოვლინდება 5 გამარჯვებული ბილეთი: პირველი ორი ბილეთიდან თითოეული მოიგებს 5000-5000 ლარს, მესამე ბილეთი 10 000 ლარს, მეოთხე გამარჯვებული მოიგებს 2 კაციან საგზურს შვეიცარიაში (ალპებში), ხოლო ბოლო მეხუთე გამარჯვებული ბილეთი მოიგებს ავტომობილს „პორშე კაიმანი".

გათამაშების დაწყების წინ დოლურაში განთავსებულია ბილეთები (აღნიშნული ბილეთები მზადდება პოლიგრაფიულ საწარმოში. გათამაშების დაწყებამდე ორი დღით ადრე წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი, რომელსაც გააჩნია სრულყოფილი მონაცემები დასაბეჭდი კონკრეტული წამახალისებელი გათამაშების ბილეთების რაოდენობის და იმ ინფორმაციის შესახებ, რაც ასახული უნდა იყოს ბილეთზე (ტელეფონის ნომერი და ID) აძლევს შეკვეთას პოლიგრაფიულ საწარმოს ბილეთების დამზადებაზე, ეს ბილეთები კონკრეტული გათამაშების დაწყებამდე მიაქვს ტელეკომპანია „იმედის" ოფისში და ათავსებს დოლურაში)), წამყვანი ატრიალებს დოლურას (ვიდრე ბილეთი იქნება ამოღებული დოლურა ყოველ ჯერზე დატრიალდება წამყვანის მიერ) და იღებს 1 ცალ ბილეთს. გათამაშებაში მონაწილე ბილეთზე ეწერება მოთამაშის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, რის საშუალებითაც მოხდება პირდაპირ ეთერში მოთამაშესთან დაკავშირება და გამარჯვებულად გამოვლენა (დატრიალების შემდეგ ამოღებული ბილეთი ითვლება მოგებულად, თუ მასზე მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე შესაძლებელი იქნება დაკავშირება).

გათამაშების პროცესში ბილეთის დოლურიდან ამოღების შემდეგ წამყვანი პირდაპირ ეთერში აჩვენებს ამოღებული ბილეთზე გამოსახულ ტელეფონის ნომერს მთლიანად გარდა ბოლო სამი ციფრისა.

იმ შემთხვევაში, თუ გათამაშების დროს ამოღებული ბილეთის მითითებულ ნომერზე ფიქსირდება ე.წ. სატელეფონო დაკავება, ან გამორთული სტატუსი, ან არ უპასუხა მომხმარებელმა, გათამაშების წამყვანი პირი სამი ცდის შემდეგ ამოიღებს ახალ ბილეთს და შესაბამისად ძველი ბილეთი ანულირდება. გადაცემის მსვლელობისას ერთ მომხმარებელს შეუძლია მხოლოდ ერთი პრიზის მოგება (თუ წამყვანი დოლურიდან ამოიღებს მეორეჯერ ბილეთს, რომლის მფლობელსაც მოგებული უკვე აქვს პრიზი აღნიშნულ გათამაშებაში, ამოღებული ბილეთი ანულირდება) ,აქედან გამომდინარე სავსებით დასაშვებია გათამაშებაში გაუქმებული ბილეთების ჩათვლით დოლურიდან ამოვიდეს 5 ბილეთის მაგივრად 6 და მეტი

თუ გათამაშების დღეს დოლურაში არ იქნება ჩაგდებული 5 ბილეთზე მეტი მაშინ დოლურიდან ამოიღება ბილეთები თანმიმდევრულად და ყველა გამოცხადდება მოგებულად. ამ დროს დაცული იქნება გასათამაშებელი პრიზების თანმიმდევრობა, რაც დადგენილია გათამაშების რეგლამენტის მიხედვით.

გამარჯვებულმა მოთამაშემ მისამართზე: ქ.თბილისი, ონიაშვილის ქ№1 უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რისი საშუალებითაც მოხდება გამარჯვებულის იდენტიფიკაცია. იმ შემთხვევაში, თუ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი კომპანიის ბაზაში შეუსაბამოა, კომპანია იტოვებს უფლებას არ გადასცეს მოთამაშეს აღნიშნული პრიზი.

სულ საპრიზო ფონდის ოდენობა შეადგენს 180 403.76 ლარს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით აღნიშნული საპრიზო ფონდი შეადგენს 225 504.7 ლარს), საიდანაც ფულადი პრიზებია 20 000 ლარის (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით 25 000 ლარია), შვეიცარიაში 2 კაციანი საგზურის ღირებულებაა 10 000 ლარი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით 12 500 ლარია), ხოლო ავტომობილის „პორშე კაიმანი" ღირებულებაა 150 403,76 ლარი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით 188 004, 7 ლარია),

წამახალისებელი გათამაშების წესების საჯაროობას უზრუნველყოფს ორგანიზატორი

წამახალისებელი გათამაშების მოგებათა ოფიციალური ცხრილი (წამახალისებელი გათამაშების ოქმი მოგებული ბილეთების ნომრებით და მათი მფლობელთა მითითებით, ხელმოწერილი წამახალისებელი გათამაშების ჩამტარებელი კომისიის წევრების მიერ) გამოქვეყნდება კომპანიის ოფისში მისამართზე: ქ.თბილისი, ონიაშვილის ქ№1 და კომპანიის FACEBOOK გვერდზე გათამაშებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა.

მოგების გაცემის და პრეტენზიების განხილვის საერთო ვადაა გათამაშებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე. მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) დღისა მისამართზე: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ№1. 30 კალენდარულ დღიანი ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები აღარ განიხილება.

შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი" დირექტორი: ა.შუბითიძე